ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №112

18 მაისი 2022 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მისი მერის ალექსი ფიცხელაურის სახით, (შემდგომში ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ი/მ თამილა ჩიგილაშვილი წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის თამილა ჩიგილაშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშკრულებას (შემდგომში-ხელშკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანია: **გასართობი მომსახურებები (კოდი-92300000 ა/ბ)**
ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული მეთოდით.

2.ხელშეკრულების ობიექტი
"მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" დაკვეთილი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი
3.1.მომსახურების მიწოდების თარიღად ითვლება **18.04 2022-01.06.2022 წელი.**

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილი ქ. ახმეტა

4.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
4.1.შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს"მიმწოდებელი"
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.მხარეთა უფლება- მოვალეობები
5.1."შემსყიდველი" ვალდებულია - გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმების ფასი; - მიიღოს გაწეული მომსახურება
5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
- გაუუქმოს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურება, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.
5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
გადასცეს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
5.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **400 (ოთხასი) ლარს.**
/ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით/

7.ფ ა ს ე ბ ი

ამ მუხლში აისახება ის შემთხვევები, როდესაც დასაშვები იქნება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების გადასინჯვა(მაგ. ინფლაციის მსღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება,საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა), გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ფასის ცვლილებების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ყოველ კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში - ცვლილებების გაანგარიშების წესი.

8.ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: **გ ა და რ ი ცხ ვ ა .**

8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): მომსახურების შემდეგ /მაგ. მომსახურების შემდეგ/ წინასწარი ანგარიშსწორება გარკვეული პროცენტით (ამ შემთხვევაში "მომწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია), ანგარიშსწორება განვადებით,შემსყიდველის ფაქტიური დაფინანსების მიხედვით ან სხვა დასაშვებია ანგარიშსწორების გრაფიკის განსაზღვრა სხვადასხვა ვარიანტების კომბინირებით.

8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ანგარიშ-ფაქტურა ან/და მიღება- ჩაბარების აქტი.

8.4 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების (ფაქტიურად მოწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების მიღება-ჩაბარების აქტი) ან/და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშო დღის განმავლობაში.

8.5 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

9.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისთვის "მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.02 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულიად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს ადგილზე "შემსყიდველის" მხრიდან ანხორციელებს მერიის **ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი ოლია ხოხობაშვილი.**

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლ მოლაპარაკების საფუძველზე

12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2022 წლის 31 მაისი.

/მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, თუ შეუძლებელია მითითებული იქნეს კონკრეტული ვადა/

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	ი.მ. თამილა ჩიგილაშვილი
მის:ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ.N49	ს/კ 08001009090
ს/კ 224631165	ლიბერთი ბანკი
სახელმწიფო ხაზინა	LBRTG22
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ა/ა GE83LB0112167291539000
ბ/კ TRESGE22	
სახაზინო კოდი 3005400000	

"შემსყიდველი" Aleksi Pitskhelauri Digitally signed by Aleksi Pitskhelauri Date: 2022.05.18 11:27:39 +04'00' / ალექსი ფიცხელაური/

"მიმწოდებელი" Tamila Chigilashvili Digitally signed by Tamila Chigilashvili Date: 2022.05.18 11:26:50 +04'00' /თამილა ჩიგილაშვილი/